პროფესიული გადამზადების პროგრამა „ხიდურა ამწის ოპერირება“
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მე-3
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 4 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 50 საათი; 1-2 კვირა - 15 საათი კვირაში; 3-4 კვირა - 10 საათი კვირაში
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 10
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: • საბაზო განათლება; • პრაქტიკული გამოცდილება ხიდურა ამწის ოპერირებაში არანაკლებ 6 თვე • ასაკი არანაკლებ 18 წელი • გასაუბრება
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს ხიდურა ამწეზე მუშაობის თავისებურებათა დახასიათებას; ხიდურა ამწის ექსპლუატაციისთვის საჭირო უსაფრთხო ნორმების აღწერას; ხიდურა ამწის ოპერირებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებას, უსაფრთხოების წესების დაცვით ტვირთის აწევა, გადატანა, დაშვება და დასმის სამუშაოს შესრულება.
პროგრამის შემუშავების საფუძველი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი “ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება” / Crane and Related Plants Operation;
პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული გადამზადების პროგრამა **„ხიდურა ამწის ოპერირება“** საშუალებას აძლევს პირებს, რომლებიც აღნიშნულ პროგრამაზე ისწავლიან, გაეცნონ ხიდურა ამწეზე მუშაობის თავისებურებებს, ხიდურა ამწის ექსპლუატაციისთვის საჭირო უსაფრთხო ნორმებს, განახორციელონ ხიდურა ამწის ოპერირებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება, უსაფრთხოების წესების დაცვით ტვირთის აწევა, გადატანა, დაშვება და დასმის სამუშაოები. **„ხიდურა ამწის ოპერირება“** პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლა განხორციელდება, როგორც კოლეჯის კეთილმოწყობილ აუდიტორიებში, ასევე რეალურ გარემოში - კომპანიაში. გადამზადების პროგრამით გათვალისწინებულია, როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავება, ასევე პრაქტიკული უნარების დახვეწა. გამოყენებული იქნება სწავლების ინტერაქტიულ ფორმები, ვიდეო ჩვენება, პრეზენტაციები, ინსტრუქტაჟი, შესაძლებელია ასევე პროგრამის ნაწილების (თეორიული კომპონენტის) დისტანციური (ონლაინ) ფორმით განხორციელება. მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება: ტესტები, ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული დავალებები, ქეისების (შემთხვევების) ანალიზი, მსმენელების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვება. მიმდინარე, განმავითარებელი შეფასება პრაქტიკულად ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, განმსაზღვრელი შეფასება (საბოლოო გამოცდა) ჩატარდება სწავლის ბოლოს, რომლის დროსაც შეფასდება მსმენელების თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები. **„ხიდურა ამწის ოპერირება“** პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი. **„ხიდურა ამწის ოპერირება“** პროფესიული გადამზადების პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები შეუწყობს ხელს კურსდამთავრებულების დასაქმებას ნებისმიერ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ხიდურა ამწე.